სახალხო ფურცელი

№ 771 შაბათი 14 იანვარი 1917 წ. № 771

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი ხასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ

„სახალხო ფურცელზე“

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მანეთად, ნახევარი წლით 8 მანეთად, სამი თვით 3 მ. 75 კ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, სახალხო ფურცლის რედაქცია, სასახლის ქუჩა, № 6 Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. 190.

გულდამწვარი მშობლები მღვ. გაიოზ და მარიამ მაღრაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფასი შვილის

დავით (დათიკო) გაიოზის ძის

მაღრაძისას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 42

ირაკლი ესტატეს ძე ფურცელაძე აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი

მელანია (ელენე) ივანეს ასულის

ფურცელაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას 15 იანვარს დიდუბის ეკლესიაში პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. 41

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

დღეს, 14 იანვარს, 1917 წელს.

სიმებიანი ორკესტრი.

ზ. სენკევიჩის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 8-ნახ. საათზე. სტუმრები საზოგადო წესით. 1002

---

14 იანვარს ნინოობას

ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება

ტრადიციული საღამო

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა

შემდეგი პროგრამით:

I
სამშობლოს
უკანასკნელი სურათი.

II.
რუსთაველის
მეორე მოქმ.

III
პატარა კახის
მეორე მოქმედება.

IV
აპოთეოზი
ქეთევან დედოფლის დაწვა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი იშხნელი, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე ბილეთები იყიდება დილით „სახ. ფურც.“ კანტორაში და საღამოთი „ძმურ ნუგეშში“. 1009

წვრილად ვაჭრობის განყოფილება

ს.ს. ძმ. ა. და ა. მილოვებისა

ვაჭნი რიადი, სიონის სობოროს რომ გაუვლით, ავლაბრის ხიდის ახლო,

ტელეფონი № 1—18.

მიღებულია:

მაუდის, მატულის, აბრეშუმის

და სხვა მატერიები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისა

ყველა საქონელს ვუკლებთ 5%.

შაბათობით იყიდება დარჩენილი ნაჭრები.

მაღაზია გაღებულია საღამოს 6 საათამდე. 1010

ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის

კანტორა

4 იანვრიდან გადადის ახალ შენობაში,

ილოვის ქუჩაზე (რომელიც მიხეილის პროსპექტიდან მტკვრისაკენ შეუხვევს) ბერკოვიჩის სახლში, № 10. 1014

ხონის მომხმარებელ საზოგადოების „იმედის“ გამგეობა

ამით აცნობებს საზოგადოების წევრთ, რომ

საზოგადოების წლიური კრება

დანიშნულია კვირას, 22 იანვარს, დილ. 9 ს., თეატრის შენობაში.

კრების წესრიგს შეადგენს: 1. გამგეობის მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. გასული წლის ანგარიშების დამტკიცება, 4. 1917 ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5. საკუთარ ბინის შეძენის შესახებ, 6. გამგეობისათვის კრედიტის გახსნა, 7. მოგების განაწილება, 8 არჩევნები, 9. გამომძიებელ კომისიის მოხსენება ძველი გამგეობის ანგარიშების შესახებ.

თუ ეს პირველი კრება არ შესდგა, მეორედ დაინიშნება 29 იანვარს.

1016 ხონის მომხ. საზოგ. „იმედის“ გამგეობა.

ახალი გრანდიოზული

ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00

დღეს, 14 იანვარს, გაიმართება

ექსტრა-ორდინალური წარმოდგენა

საზღვარ-გარეთელ საუკეთესო არტისტების მონაწილეობით, სტახტო პროგრამა. დღეს მეორე გასტროლია ინგლისელ მშვენიერ ქალების, დების **მარინგტონებისა**, რომელთაც ბურთ-ადამიანებს უწოდებენ. გასტროლებს გენიოს მცირეწლოვან ფენომენის, **ვალოდია ზუბრიცკისა**. მთელი სატახტო ქალაქის პრესა ლაპარაკობს საკვირველ ბავშვზე. მონაწილეობენ აგრედვე ყველა გასტროლიორები.

ანონსი: კვირას, 15 იანვარს 2 წარმოდგენა. დღისა იწყება 1 ს. **ვალოდია ზუბრიცკის** მონაწილეობით. ბავშვები 10 წლამდე უფასოდ.

წაიკითხეთ აფიშები.

კვირას, 15 იანვარს, გაიმართება

ორი სადღესასწაულო წარმოდგენა

დღისით და საღამოთი. დღისა იწყება 1 ს. მონაწილეობს მცირე წლოვანი ფენომენი მათემატიკოს-ისტორიკოსი **ვალოდია ზუბრიცკი**. მონაწილეობს აგრედვე მთელი დანარჩენი დასი. დილის წარმოდგენაზე ყოველ დიდ ადამიანს თავის ბილეთით შეუძლიან უფასოდ შეიყვანოს ბავშვი. უფასოდ სეირნობა ბავშვებისა პატარა ცხენუკებით. საღამოსაც გაიმართება დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა ახლად ჩამოსულ მსახიობთა ინგლისელ ქალების დათა **მარინგტონების** მონაწილეობით. დასაწყისი სწორედ 8 ს.

ამ დღეებში პირველი გასტროლი მეფისტოფელის, ცეკვის ჟანრის შემსრულებელის ლეონელისა, მოდიან აფრიკელი ზანგები ლუიზინები.

ექიმი

ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ვერის მოედანი, ექიმი სობესტიანსკის სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1144

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1060

ექიმი

ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ

ყორღანოვის ქ. № 6

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა

ქსენიევის ქუჩა № 4. სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელეფ. 15—00. 1271

საექიმო კაბინეტი ექიმ

კ. ს. ფონ-ირტელისა

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-საშვილ., სიფილისის, ვენერიული და კანის (გახივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფლისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. ორივე სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესაგ. კრილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი

ზ. ზ. ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5^1/_2$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. 16—17. 457

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის

დოქტორი

ბ. გ. მეპრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი დ გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, აგრედვე ყოველგვარი ფიზიოთერაპიით და ელექტრონით. თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, არტერიოსკლეროზის, თირკმლების და ღვიძლის სნეულებ. სისხლის ნაკლებობისა, უძილობისა, ხერხემლისა სისუსტის, ასთმისა, ბუასილის და რევმატიზმის დროს. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილს 9—1 ს.-დე და საღ. 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელეფ. № 7—92 848

ექიმი ქალი

ს. ზ. მირზოევი

უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა სამკურნალოსი.

იღებს თვალებით ავადმყოფთ ყოველ-დღე ნაშუადღევის $1^1/_2$—$3^1/_2$ საათამდე, კვირა დღის გარდა.

სერგიევის ქუჩა, № 1.

ტელეფონი, № 16—67 1409

ექიმი

თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი კიროჩნი ქ. 18. 1391

ექიმი

მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1061

ექიმი კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 34 კირპიჩნი ქუჩის შესახვევის 21.

მელანია მიხეილის ასული მეტრეველისა და შვილები: მოსე, ვლადიმერი და თამარი უღრმეს მადლობას უცხადებენ ყველას ვინც წერილით, დეპეშით თუ პირადი დასწრებით პატივის სცეს გარდაცვალებულ

დეკანოზ დიმიტრი მეტრეველის ხსოვნას. 1460

ტფილისი, 14 იანვარი 1917 წ.

ლაზების საკითხი. მალე ერთი წელიწადი შესრულდება, რაც რუსის ჯარი შევიდა ლაზეთში და საშუალება მოგვეცა ჩვენს მოძმეებთან მისვლისა, დაახლოვებისა და გაწყვეტილი კავშირის აღდგენისა. მაგრამ გულისტკენით უნდა აღვნიშნოთ, რომ არც საქველმოქმედო საზოგადოებას და არც სხვას ამ მხრივ არა გაუკეთებიარა თითქმის. ჩვენ ვერ ვისარგებლეთ სათანადოდ იმ ძვირფასი დროთი, რომელიც დღეს ხელთა გვაქვს. აქამდის ვერ მოვახერხეთ, რომ რითიმე გვეჩვენებია მოძმე ლაზებისთვის ჩვენი ძმობა.—ან სკოლა გაგვეხსნა, ან ქონებრივი შველამო დაგვედო მათი გაჭირვებისთვის.

სამუშაო და გასაკეთებელი ლაზეთში კი ძალიან ბევრია. ომიანობის ქარიშხალმა მთელის თავის სიმკაცრით გადაიარა ლაზთა სოფლებზე. სახლები დაიქცა, კერა ჩაჰქრა, ქონება გატიალდა. მრავალი ხალხი ოსმალეთში გადაიხვეწა, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, ოსმალოს ჯარმა გადარეკა. რუსეთ-ოსმალეთის ომი რომ გამოცხადდა, რამდენიმე ათასი ლაზი სამხედრო ბეგრის ჰასაკის მთავრობამ ტყვედ გამოაცხადა და შიდა რუსეთში გადაასახლა... ყველაფერმა ამან მკვიდრნი დიდს განსაცდელში ჩააგდო და დახმარებას არავისაგან ჰხედავს.

ლაზეთს არა ნაკლები ყურადღება უნდა მივაქციოთ, ვიდრე ქობულეთს, აჭარას, შავშეთ-იმერხევს. აქაც ისე საჭიროა ჩვენი საქველმოქმედო საზოგადოების და სხვა ეროვნულ-კულტურულ დაწესებულების მუშაობა, როგორც დანარჩენ სამაჰმადიანო საქართველოში. შეიძლება ლაზეთში კიდევ უფრო საჭიროც იყოს, ვიდრე ანგარიში უნდა გაუწიოთ ომის ბედის ცვალებადობას. დღეს თუ ადვილად შეგვიძლია ლაზებთან მისვლა, ხვალ და ზეგ ასეთი შესაძლებლობა იქნება თუ არა—ეს არავინ უწყის. ამიტომ უნდა დავამყაროთ და გავავრცელოთ მოღვაწეობა, რომ ჩვენს ძმებს ღრმად ჩასწვდეს გულში ჩვენი ძმური სიტყვა, ღრმად დააჩნიოს კვალი მათ ცხოვრებას ჩვენმა ხელმა, რომ სამუდამოდ ტკბილად მოსაგონებელი იყოს მათთვის სახელი ქართველი ერისა და მთელი ქართველობის მტკიცე ერთობისა...

ლაზეთის ეხლანდელი სინამდვილე გარკვევით გვეუბნება, თუ რას უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. ყოვლის უწინარეს, რასაკვირველია, დარბეულთ და გაჭირვებულთ ქონებრივი დახმარება ესაჭიროებათ და უნდა დავეხმაროთ, რამდენადაც შეგვიძლია. საჭიროა საავადმყოფოს და თავშესაფრების გამართვა. მაგრამ ამაზე უფრო ღრმა კვალს დასტოვებს და ჩვენს და ლაზებს შორის სულიერ კავშირს შეჰკრავს სკოლების გახსნა, სიტყვიერი გამხნევება, გათვითცნობიერება, ერთგვარი პროპაგანდა, განმარტება ჩვენი ნათესაობისა და ერთობისა. თუ მეტი არ შეგვიძლია ამ ხანად, ერთი სკოლა მაინც დავაარსოთ, ამის საშუალებას ყოველთვის გამოვნახავთ. საჭიროა, რომ ლაზებს გავუწიოთ იურიდიული ხელმძღვანელობა—ახალმა სახელმწიფო წეს-წყობილებამ ბევრი რამ სადავო და გამოსარკვევი შექმნა ლაზებისათვის, ბევრს ხაზინამ მიწა-წყალი ჩამოართვა, არის სხვა საქმეც და ლაზს შესაფერი გზა და საშუალება ვერ გამოუნახავს, აქ აუცილებლად უნდა დავეხმაროთ, შევადგინოთ კომისიები ან გავგზავნოთ ცალკე მცოდნე პირები, რომელნიც ყოველს რჩევა-დარიგებას მიაწოდებენ დაინტერესებულ მკვიდრთ. უნდა ვიშუამდგომლოთ, რომ მთავრობამ მისცეთ სახლში დაბრუნების ნება იმ ლაზებს, რომელნიც ტყვეებად იყვნენ გამოცხადებულნი და რუსეთში გადაასახლეს. ეს სრულებით არაა ძნელი. თუ ამნაირ მდგომარეობაში ოსმალეთის ქვეშევრდომი სომხები და ბერძნები არ არიან ჩარიცხულნი სამხედრო ტყვეებად, რატომ უნდა დაისაჯონ ლაზები?...

ერთი სიტყვით, სამუშაო საკამაოა და ჩვენი მოვალეობაა მეტი სიფხიზლე და ენერგია გამოვიჩინოთ. ვეცადოთ, რომ ეხლა მაინც გავაკეთოთ, რაც აქამდი არ გაგვიკეთებია.

ომის გარშემო

ომის დღიური

რუმინიის ასპარეზით მდგომარეობა კვლავ უცვლელია და ეს გარემოება ცოტა არ იყვეს უცნაურია. ორივე მებრძოლი მხარე ბრძოლის ისეთ საფეხურს მიადგნენ, რომ შეუძლებელია ამ ხაზზე გაჩერება. სწორედ ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ერთი და იგივე განმეორება ცნობისა „მდგომარეობა არ შეცვლილა“. რასაკვირველია, თუ ცვლილება იგულისხმება, მხოლოდ ისეთი, როდესაც იცვლება ბრძოლის ხაზი და ერთი მეორეს ტერიტორიას უთმობს, მაშინ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ასეთი ცვლილება არ მომხდარა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ორივ მოპირდაპირე გულ-ხელ დაკრეფილი სდგას და ერთი მეორეს შესცქერის. ცხადია, რომ ჯარის ზურგს უკან რაღაც სამზადისია. გაზ. „რეჩის“ ცნობით მოპირდაპირეს ახალი ჯარი მოჰყავს მდ. სერეტის ქვემო ნაწილში. იმავე დროს გაზეთები და თვით დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემენ, რომ ხერსონში უკვე ბინებს სცლიან და ამზადებენ რუმინიის სახელმწიფოებრივ დაწესებულებებისათვის. სახელმწიფოს უკანა-

სკნელ ქალაქის დატოვებას ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს და ისეთ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ცხადია თუ რუმინიის მთავრობამ საქვეყნოდ, აშკარად მიმართა ასეთ უკიდურეს საშუალებას, ალბად გათვალისწინებული და იქნებ საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს თავის სამეფოს საბოლოო ევაკუაცია და დარწმუნებულია, რომ მოპირდაპირე მოკლე ხანში განაგრძობს მკაცრ შეტევას და მდ. სერეტს გადმოლახავს. ან და ქვემო დუნაით მდგომარეობა ისეთია, რომ მოითხოვს ასეთ უკიდურეს საშუალების მიღებას.

რიგის რაიონში რუსის ჯარს კვლავ ნახევარ ვერსით ჩრდილოეთისაკენ დაუხევია.

ი. გე—ვა—ლი

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 12 იანვარი, ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. მოპირდაპირის რაზმებმა იერიში მოიტანეს შმარდენის ჩრდილოეთით, ტირულის ჭაობის ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან (რიგას დასავლეთით), მაგრამ სროლით თავის თხრილებში უკუვაქციეთ. მოპირდაპირის მედგარი იერიშები ჩვენს ჯარზე ტირულის ჭაობის და მდ. აას შუა ჯერ სროლით მოვიგერიეთ და შემდეგ ერთმა ჩვენმა პოლკმა მედგარი იერიშით უკუაქცია მოპირდაპირე ტირულის ჭაობის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობებიდან სამხრეთისაკენ. მდ. აას აღმოსავლეთით შეტევა დავიწყეთ სოფ. კალცემისაკენ; გერმანელებმა ჩვენს ჯარს ძლიერ დაუშინეს და შემდეგ მკაცრი კონტრიერიში მოიტანეს და ჩვენს ჯარს ნახევარ ვერსით ჩრდილოეთისაკენ დაახევინეს; 14 საათია გრძელდება ბრძოლა. ჩვენმა არტილერიამ დააზიანა მოპირდაპირის ჰაეროპლანი, რომელიც ჩვენს პოზიციაზე დაეცა სოფ. სმოლნოსთან (ბროდის დასავლეთით) ჩამოვარდნის დროს ცეცხლი მოეკიდა და დაიწვა; მფრინავი და მზვერავი დავატყვევეთ ჰაეროპლანიდან გადმოვიღეთ ორი ტყვიისმტყორცნელი.

რუმინიის ბრძოლის პირი. ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ბრძოლის პირი. მთელი ბრძოლის პირით ქარბუქია.

შავი ზღვა. ჩვენმა წყალქვეშა ნავმა ბოსფორთან 4 იალქნიანი ნავი ჩასძირა და სამიც აიძულა ნაპირზე გარიყულიყვნენ, სადაც ქარმა დაამსხვრია.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი, 11 იანვარი. ცნობა დღისით. ღამით რამდენჯერმე მარჯვედ გავილაშქრეთ ვევრში რომნიეველის მიმართულებით. მდ. სეილის რაიონში მზვერავთა შეტაკებანი გაცხოველდნენ. დანარჩენ ბრძოლის პირით ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი, 11 იანვარი. ცნობა საღამოთი. ჩვენმა არტილერიამ მკაცრად დაუშინა მოპირდაპირის თხრილებს და გაანადგურა იგინი მულენ-სუ-ტუვანის რაიონში, „304“ მაღლობის ჩრდილო-აღმოსავლეთით. არტილერიის საკმაოდ ძლიერი სროლაა კარიერის ტყის რაიონში. მაასის რაიონში, სუასონის აღმოსავლეთით, გერმანელებმა ორჯელ მოულოდნელი იერიში მოიტანეს ეპარჟის მიმართულებით, მაგრამ ორჯერვე მოვიგერიეთ და ტყვეები წავართვით. დანარჩენ ბრძოლის პირით დროგამოშვებითი სროლაა.

ლონდონი, 12 იანვარი. ოფიციალური ცნობა 11 იანვრიდან. ლოოსის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირემ იერიში დაიწყო, მაგრამ ადვილად მოვიგერიეთ; მოპირდაპირე დიდად დაზარალდა და ჩვენი ზარალი კი მცირეა. მოპირდაპირის მეორე რაზმიც დიდი ზარალით მოვიგერიეთ. ღამით მარჯვედ შევიჭერით მოპირდაპირის თხრილში იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით. დღისით არტილერია მოქმედობდა სომას და ანკრის ჩრდილოეთით, არმანტაერის და იპრის რაიონებში. სუშეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მარჯვედ დავუშინეთ მოპირდაპირის სანგრებს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ცენტრალურ სახელმწიფოთა პარლამენტების თავმჯდომარეთა თათბირი.

კოპენჰაგენიდან „უტრო როსიი“-ს ატყობინებენ: ბერლინში გაიმართა გერმანიის, ავსტრიის, უნგრეთის, ოსმალეთის და ბულგარეთის პარლამენტების თავმჯდომარეთა თათბირი.—თათბირი რამდენიმე დღეს გასტანს. თათბირის მიზანია საერთო, შეთანხმებულ მუშაობის გეგმის შედგენა როგორც ომიანობის აგრეთვე ომის შემდეგ მოღვაწეობისათვის. წაკითხულ იქნება დეკლარაციები ცენტრალურ კავშირის ერთსულოვნობაზე და სოლიდარობაზე.

განხეთქილება პრუსიის სოც.-დემოკრატიაში.

პრუსიის ლანტაგის სოც.-დემოკრატიული ფრაქცია, რომელიც 9 წევრისაგან შესდგება, ორად გაიყო. უმრავლესობამ, ხუთმა კაცმა, პარტიიდან გამორიცხა დანარჩენი ოთხი კაცი. უკანასკნელთ თავისი საკუთარი ფრაქცია დაარსეს.

გერმანელი ანექსიონისტები.

ბერლინიდან კოპენჰაგენს ატყობინებენ: აგრედ წოდებულ „დამოუკიდებელ კომიტეტის“ ყრილობაზე დაადგინეს, რომ მოითხოვონ დაპყრობილ ტერიტორიების შემოერთება. აღნიშნული კომიტეტი ზომიერ ლიბერალებისაგან შესდგება. რეზოლუცია ქაიზერს გაუგზავნეს. ყრილობაზე ყველა ორატორი მოითხოვდა, ბოლომდის ებრძოლონ ინგლისს, რუსეთი საბოლოოდ დააუძლურონ და მოსპონ ბელგია.

პოლონელების დეპუტაცია.

კოპენჰაგენიდან „უტრო როსიი“-ს ატყობინებენ: ამ დღეებში ბერლინს მოელიან პოლონეთის სამეფო საბჭოს დეპუტაციას, რომელიც გერმანიის მთავრობას წარუდგება. ბერლინიდან დეპუტაცია ვენას, ბუდაპეშტს, სოფიას და სტამბოლს წავა და ყველგან წარსდგება, როგორც პოლონეთის სამეფოს მიერ განსაკუთრებული მისიით დავალებული დეპუტაცია.

რუმინიის დაწესებულებათა ევაკუაცია.

კიევიდან „უტრო როსიი“-ს ატყობინებენ: გაცხარებული მუშაობაა რუმინიის დაწესებულებების იასიდან რუსეთში გადატანის მოწყობისათვის. მეტი ნაწილი ამ დაწესებულებათა გადაყვანილ იქნება ხერსონში, სადაც უკვე რამდენიმე დიდი შენობის შეკეთებას შეუდგნენ. ხერსონის სახაზინო პალატა დიდი შენობის ყიდვას ცდილობს რუმინიის ხარჯით. დასცლიან აგრეთვე ხერსონის გუბერნატორის და მის კანცელარიის ბინას.

ბოსტნეულობა ინგლისში.

ლონდონიდან იუწყებიან, ინგლისის მეფემ ზოგიერთი თავისი მამული, ბაღები და ბაღჩები ბოსტნეულობის მოყვანისათვის დასთმო. მეფეს მიჰბაძა სხვა და სხვა წარჩინებულმა პირმა და თავის მხრითაც დაუთმო ბოსტნეულობისათვის პარკები და ყვავილების ბაღჩები.

მეკობრე გემი.

ლონდონიდან „რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ: „ტაიმს“-ის კორესპონდენტს დაწვრილებითი ცნობები მიუღია პერნამბუკოდან (სამხრეთი ამერიკა, ბრაზილია), სადაც ამას წინად გერმანელების გემი გაჩნდა და რამდენიმე ინგლისის და საფრანგეთის გემი ჩასძირა. ცნობები გადმოუციათ გემ „დრამატისტის“ მეზღვაურებს. ეს გემი გერმანიის გემის მიერ ჩაძირულია. მეზღვაურთა სიტყვით გერმანიის გემი თვით დატვირთული კილიდან გამოსულა და სკანდინავიის ერთერთ სახელმწიფოს დროშა აუფრიალებია. თურმე დღისით გემი ნელა მისცურავდა და მხოლოდ ღამღამობით ჩქარი სვლა ჰქონდა. „დრამატისმა“ გემი 18 დეკემბერს შეამჩნია. გერმანიის გემი მას თანდათან უახლოვდებოდა, ვიდრე ახლოს არ მიადგა და ამ დროს გერმანიის დროშა ააფრიალა და უბრძანა „დრამატისს“ შეჩერდიო. „დრამატისი“-დან შეამჩნიეს რომ გერმანიის გემი ორი ზარბაზნით არის შეიარაღებული. „დრამატისი“ იძულებული გახდა შეჩერებულიყო და დაჰნებებოდა. მეზღვაურები გერმანელებმა სხვა დატუსაღებულ გემზე გადიყვანეს და „დრამატის“ ესროლეს ყუმბარა და ჩასძირეს. იმ გემზე, რომელზედაც „დრამატისის“ მეზღვაურები გადაიყვანეს, უკვე ორასამდე დატყვევებული იყო. გერმანიის გემმა უბრძანა დატყვევებულ გემს, პერნამბუკოში წამოდიო და წაიყოლია თან.

დატყვევებულთ ერთობ კარგად და ზრდილობიანად ეპყრობოდნენ. გზაში თუ ნეიტრალური გემი შეხვდებოდათ ინგლისის დროშას აჩვენებდნენ და თუ შეხვდებოდათ ოთხთა შეთანხმების გემები ჩასძირავდნენ და იმავე დროს კინემატოგრაფიულ სურათებს იღებდნენ.

პოლონეთში.

ვარშავიდან შვეიცარიის გაზეთებს ატყობინებენ: თავადი ადამ ჩარტორიესკი, ბულგარეთის მეფის ფერდინანდის ნათესავი, ვარშავას მოვიდა, აღძრულია კითხვა ადამ ჩარტორიესკის სახელმწიფოს რეგენტად დანიშვნაზე.

პოლონეთის სამეფო საბჭომ ორი კომისია აირჩია: აღმასრულებელი, რომლის წევრებად არჩეულნი არიან, ბუკოვეცკი, კუროვსკი, ლემპიცკი, პილსუდსკი და როსტვოროვსკი და სამხედრო კომისია,—ძერჟბიცკი, გორსკი, თავადი რაძივილი, პილსუდსკი და როსტვოროვსკი.

შემდეგ საბჭოს დავალებული აქვს აირჩიოს კომისია პოლონეთის სახელმწიფოს ძირითად კანონების და სეიმის წესდების შესამუშავებლად. არჩეულ უნდა იქნას აგრეთვე კომისია სახალხო განათლების ორგანიზაციისათვის და სარწმუნოებრივ საკითხის მოგვარებისათვის.

შვეიცარიის ნეიტრალიტეტი.

შვეიცარულ გაზეთებს აფიქრიანებს ის გარემოება, რომ ავსტრია-უნგრეთმა საფრანგეთისა და გერმანიისამებრ არ განაცხადა, შვეიცარიის ნეიტრალიტეტს არ დავარღვევო.

პოლონეთის ჯარი

კოპენჰაგენიდან გაზ. „რეჩ“-ს ატყობინებენ: ვარშავიდან მოსულ ცნობით პოლონეთის სამეფო საბჭოს დაუდგენია: დაუყონებლივ აირჩიოს კომისია და შეუდგეს პოლონეთის ჯარის ორგანიზაციას.

დღესასწაულისა გამო „სახალხო ფურცლის“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 17 იანვარს.

ახალი ამბავი

◆ **ნინოობა.** დღეს, 14 იანვარს წმ. ნინოს დღესასწაულს ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოება დიდს საზეიმო საღამოს მართავს ახალ კლუბის დარბაზში.

◆ **უმაღლესად ებოძა მიტრა** სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს დეკანოზს მარკოზ ტყემალაძეს.

◆ **კავკასიის ერობა.** მინისტრთა საბჭოს 10 იანვრის სხდომაზე განუხილავს საკითხი კავკასიის ერობისა, რომელიც კავკასიის მეფის ნაცვლის მეოხებით აღიძრა. სამინისტროს დაუდგენია, აქ შემუშავებული პროექტი გადასცეს საუწყებათაშორისო თათბირს, რომლის თავმჯდომარედ იქნება მეფის ნაცვლის წარმომადგენელი სენატორი მილიუტინი. თათბირი რომ განიხილავს პროექტს, მერე ისევ სამინისტროში შეიტანს. როგორც „კავკაზსკოე სლოვო“ იუწყება, განზრახულია კავკასიის ერობის განხორციელება 87 მუხლის ძალით, სათათბიროს და საბჭოს გარეშე.

◆ **ნინოობა პეტროგრადში.** პეტროგრადში ანდრეევის სობოროსთან 14 იანვარს იხსნება დამოუკიდებელი სამრევლო. მღვდლად მიწვეულია დეკ. ჩიჯავაძე, დიაკვნად ვ. ხიზანაშვილი. 14 იანვრისათვის მიწვეულია მიტრ. პიტირიმი, რომელიც გორის ეპისკოპოს ანტონის თანამწირველობით მთელს წირვას ქართულად შეასრულებს. ეპისკ. ანტონის თანამწირველი იქნება აგრეთვე დიდუბის მთავარდიაკვანი კონსტანტინე ჩუტკერაშვილი.

◆ **სასახლეში.** 12 იანვარს მეფის მოადგილეს წარუდგა ფოთის ქალაქის მოურავი გ. ა. ტყემალაძე.

◆ **მომხმარებელი საზოგადოება** გომბორშიაც არსდება. შესაფერი შუამდგომლობა უკვე აღძრულია.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობა მომავალ სამშაბათის კრებაზე განიხილავს საგამომცემლო სექციის დადგენილებებს ახალ წიგნების გამოცემის საჭიროების შესახებ.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობის მდივანი პავლე საყვარელიძე ამ მოკლე ხანში მოხსენებას წაიკითხავს სამაჰმადიანო საქართველოში მუშაობის შესახებ. მოხსენებაში, სხვათა შორის, შეეხება სულთანოვის გამოლაშქრებას.

◆ **მშობელთა წრის დელეგატთა კრება.** სათავად-აზნაურო გიმნაზიის მშობელთა დელეგატების კრება მოხდება კვირას, 15 იანვარს, დილის 11 საათზე. განსახილველია მეტად საყურადღებო საკითხები.

◆ **ჭანეთის საჭიროებანი.** ხუთშაბათს, 12 იანვარს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის კრება გაიმართა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებლის და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებათა წარმომადგენელნი. კრებამ მოისმინა საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილების მდივნის კ. კობახიძის მოხსენება ჭანეთის გაჭირვების შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მთელი ჭანეთი მეტად დარბეული და აკლებულია. მრავალი ხალხი გადახვეწილი და გადასახლებულია. ვინც დარჩენილა, საშინელს ეკონომიურს გაჭირვებას განიცდის. ჭანები, რომელნიც ქართულად და მეგრულად ლაპარაკობენ, თხოულობენ: ქართულს სკოლებს, თავ-შესაფრებს, სასურსათო და საექიმო დახმარებას და მეურნეობისა და ოჯახების აღდგენას. კრებამ დაადგინა, სწრაფადაღიძრას სათანადო შუამდგომლობა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე.

◆ **დეპეშა.** ჩვენმა რედაქციამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ავადმყოფს ა. ჩხენკელს.

გულწრფელად გისურვებთ მალე განიკურნოთ და განაგრძოთ ნაყოფიერი მუშაობა მშობელი ერის ინტერესების დასაცავად.

◆ **მივაქცევთ ქველმოქმედთა ყურადღებას** სვიმონ დავიდოვის გაჭირ-

---

ნაციონალიზმი და დემოკრატიული ინტერესები

(დასასრული *)

ეროვნულ-პოლიტიკურ პროგრამის საკითხებში კერძოდ ავტონომიის საკითხი რომ ავიღოთ, აქაც იმასვე ვრწმუნდებით. ავსტრიელი სოციალ-დემოკრატი ცნობილი ოტო ბაუერი აი რას ამბობს *) პროლეტარიატის პოზიციაზე ავტონომიის საკითხში: ეროვნული ავტონომია—ეს „მოთხოვნაა, რომელსაც აუცილებლივ აყენებს პროლეტარიატი ეროვნებათა სახელმწიფოში, მოთხოვნაა, **რომელსაც მას უკარნახებს ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებანი, რომელიც ეთანხმება მის წარმოდგენას საზოგადოებრივი ორგანიზმის დანიშნულებაზე და, დასასრულ, მის განსაკუთრებულს კლასიურ იდეოლოგიას, მის წარმოდგენებს კულტურისა და შრომის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ**“ (კურსივი ავტორისაა). აი რა ყოფილა თურმე ის ავტონომია, რომელიც ნაციონალიზმის დედა-ძარღვია და თითქმის მთელი მისი შინაარსი! ვგონებ, კომენტარიები აღარ სჭირია.

აკი მოგახსენეთ, ნაციონალიზმიც არის და ნაციონალიზმიც. არის ისეთი, რომელიც ერთს კერპს ემსახურება, მაგრამ იმის გვერდითვე არის ისეთიც, რომელსაც ამ კერპის არაფერი სწამს. მათ შორის საერთო არაფერია, გარდა სახელისა. რუსის ზოგიერთს ნაციონალისტს რომ ჰკითხოთ, რა არის ნაციონალიზმი? ჭეშმარიტი ნაციონალიზმი, გიპასუხებენ, ის მოძღვრებაა, ის პოლიტიკური მიმდინარეობა არის, რომელსაც რუსეთში მცხოვრებ ერთა სხვა და სხვაობის მოსპობა დაუსახავს და მათ ერთს გაბატონებულ ნაციად გარდაქცევას ლამობს. ხოლო ვინაიდან ასეთი ტრანსფორმაცია ისე არ შეიძლება, თუ ერებს თავისუფალი ეროვნული განვითარების ხელის შემშლელი ბორკილები არ დაედევით, ამ ტომ „ჭეშმარიტ“ რუსთა ნაციონალიზმი იმავე დროს „ინოროდცების“ მიმართ ბორკილებსა და პოლიტიკურ დაჩაგრულობას ნიშნავს, რეპრესიებს, ხშირად „პოგრომებს“ და კიდევ ბევრს რასმე ამის მსგავსს. კერძოდ, სკოლის საქმე რომ ავიღოთ, ასეთს ნაციონალისტებს ვერც კი წარმოუდგენია,—და რა თქმა უნდა, სრულიად საფუძვლიანადაც,—რომ რუსეთში რუსულ სკოლაში სხვა რომელიმე ენა ბატონობდეს გარდა რუსულისა. ხოლო იგივე ნაციონალისტი თმებს იგლეჯს, ყალბზე დგება, თუ ვინმემ გაბედა, კრინტი დასძრა და, მაგ. საქართველოში სკოლებში ქართულად სწავლა მოითხოვა. ასეთი უბრალო, ბუნებრივი სურვილი მას სახელმწიფო წესწყობილების საფუძველთა ნგრევად მიაჩნია. ასეთი ლოღიკისაა ეს უცნაური, მეტი რომ არა ვსთქვათ, ნაციონალიზმი!

ნაციონალური იყო, უეჭველია, ის საზოგადოებრივი მიმართულებაც რუსეთში, რომელიც სლავიანოფილობის სახელით არის ცნობილი. კარგად ვუწყით, რომ ეს მიმართულება ეროვნულ-სლავიანურ თავისებურობას მით იცავდა, რომ დასავლეთ ევროპის ყოველნაირ ზედგავლენას უფრთხოდა, ყოველნაირ რეფორმას ევროპიულ ყაიდაზე აგებულს ებრძოდა, რაც ძალი და ღონე შესწევდა. და ამ მიმდინარეობას ექომაგებოდნენ დიახ ნაციონალიზმის სახელით, მამულიშვილურის მიზნებით ისეთი გამოჩენილნი მოწინავე პირები, როგორნიც იყვნენ: ხომიაკოვი, ძმანი კირეევსკები, ძმანი აქსაკოვები, იური სამარინი და სხ. (ეს უკანასკნელი გლეხთა განთავისუფლების საქმის ერთი ცნობილ მოღვაწეთაგანიც არის). მაგრამ ამ მიმართულებასაც ჩვენ სალი ნაციონალიზმის ნაყოფად, ჭეშმარიტ ხალხურ მიმართულებად ვერ აღვიარებთ, ვინაიდან მას კარჩაკეტილობის, ცალმხრივობის, ცხადი რეაქციის ბეჭედი აზის. მიმართულების ასეთი ხასიათით უნდა ავხსნათ, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ მის მიმდევრებად ერთს დროს გამოაცხადეს თავიანთი თავი ცნობილმა რუსის რეაქციონერებმა და მათ შორის კატკოვმაც, რომელთა მიმხრობამ ვიწრო შოვინისტური დაღი დაასვა სლავიანოფილობას.

არიან რუსეთში კიდევ მრავალი სხვა კატეგორიები ნაციონალისტებისა. არიან ისეთი პოლიტიკური მოაზრენიც კი, რომელნიც გულწრფელად ჰფიქრობენ, თუმცაღა საჯაროდ ვეღარ ამტკიცებენ, რომ ნამდვილი ნაციონალიზმი ის არის, რომელიც აბსოლიუტიზმის და ფეოდალურ ბატონობის საჭიროებას აღიარებსო... და, ასე გასინჯეთ, ამ აბსოლიუტიზმს და მის ერთგულ გუშაგს—ბიუროკრატიას ბურჟუაზიის ჩამორჩენილი ელემენტებიც მაგრად ებღაუჭებიან, ვინაიდან მუშათა კლასთან ბრძოლაში ორივე მისი მეგობარია.

ვერ ვიტყვით, რომ ასეთი, ასე ვსთქვათ, შმაგი ნაციონალიზმი მარტო რუსეთის კუთვნილება იყოს. იგი უცხო არ არის კულტურულ დასავლეთისათვისაც, თუმცა ის აქ თანდათან სცხრება. ესპანიაში ერთს დროს ამ ნაციონალიზმზე, რომელიც პოლიტიკურ დაჩაგვრასა და ბორკილებს ეტრფის, ამგვარი კუპლეტიც კი შეთხზეს*): „გაუმარჯოს ხუნდებს! გაუმარჯოს დაჩაგვრას! გაუმარჯოს მეფე ფერდინანდს! ძირს ხალხიო“! ესეც ნაციონალიზმია, ამასაც ნაციონალიზმს ეძახიან და იმასაც, რომელიც ყოველნაირ ჩაგვრას, ყოველნაირ მონობას ებრძვის.

ამ თუ იმსახის ნაციონალიზმი, სხვათა შორის, ერთა ურთიერთობის საკითხშიც გამოსჭვივის. იმ მიმდინარეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ყოველივე უცხოს მტრული თვალით უცქერის, რომელსაც თავის ერის ბედნიერება სხვისი უბედურებით სწადია მოიპოვოს, რომელიც მეზობელ ერთა შორის მხოლოდ შუღლისა და ღვარძლსა სთესს,—ასეთი მიმდინარეობის დაუძინებელი მტერი უპირველესად ყოვლისა დემოკრატიაა, ვინაიდან აქაც ყველაზე მეტად ეროვნული ბრძოლის გაღვივებით იგი ზარალობს, ხოლო ამავე ბრძოლით იმავე დროს მისი მოწინააღმდეგე ძალა—ბურჟუაზია,—ყველაზე მეტად სარგებლობს. ადვილად გასაგებია, თუ რატომ ეწევა ბურჟუაზია ასეთს ბრძოლას. ეს მისთვის სარფაა როგორც საქონლის გამყიდველისათვის და როგორც სამუშაო ძალის მყიდველისათვის. ეროვნული შუღლის ჩამოგდებით იგი ჰფიქრობს სხვა და სხვა ერების მუშათა კლასის გათიშვას, მათ შორის კავშირის შესუსტებას, ხოლო თავის მუშებისაგან მეტი მორჩილების მოპოვებას. მეორე მხრით, იგივე შუღლი მისთვის ერთი საშუალებათაგანია საქონელი უკეთ გაასაღოს.

ერი კი იგებს ასეთი ბრძოლით? ვინ არ იცის, თუ რამდენად ბრკოლდება ერის კეთილდღეობა სხვა მეზობელ ერებთან მეგობრულ განწყობილების გაწყვეტით, უნიადაგო შუღლისა და კინკლაობის ჩამოგდებით! ვინ არ იცის, რომ კეთილშობილი კულტურული მეცილეობა ერთა შორის ისე, როგორც ერთი ერის ფარგალშიც, ერთი საქმეა და სულ სხვაა ეროვნული ბრძოლა, მძულვარებაზე აგებული, ბრძოლა ველური საშუალებებით, ბრძოლა ორივე მხარის დამასუსტებელი.

აშკარაა, აქაც დემოკრატიული და ეროვნული ერთი მეორეს ჰფარავს, ერთი მეორის სწორია. აქაც ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არა აქვს. აქაც სალი ეროვნული თვალსაზრისი და დემოკრატიული ერთნაირად აფასებენ ერთსა და იმავე მოვლენას.

ყველა ნაციონალურ საკითხთა შორის, უეჭველია, საკითხები ეროვნული სკოლისა, ენისა და კულტურის შესახებ უდიდესი მნიშვნელობის საკითხებია, ვინაიდან ეროვნული აღზრდა-განათლება, ენა, კულტურა,—ეს ისეთი ფაქტორებია ერის ცხოვრებაში, რომელნიც მჭიდროდ აკავშირებენ ერის სხვა და სხვა ნაწილებს ერთმანეთთან, რომელნიც აძლევენ ერს უფლებას თვითარსებობისას. ნაციონალიზმი ყველა ამას იცავს ერის სახელით, ერის ბედნიერებისა და კეთილდღეობის დაცვის მიზნით. მაგრამ რაც აინტერესებს აქ ნაციონალისტს, როგორც ერთნაირი საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძღვრების მიმდევარს, იგივე პირდაპირი, არსებითი ინტერესია ერის დემოკრატიულ ელემენტებისათვის და განსაკუთრებით იმ მუშა ხალხისათვის, რომელიც კაპიტალისტებთან მწვავე ბრძოლაში არის ჩაბმული. რაც უფრო მაღლა სდგას იგი კულტურულად, თვითცნობიერების განვითარებით, ხომ მით უფრო მეტს საფრთხეს წარმოადგენს მოწინააღმდეგე ძალისათვის, ხომ მით უფრო ადვილად იხსნის თავს მონობისაგან. არსებითი ინტერესი უკარნახებს მუშას, ხელოსანს, გლეხს სამშობლო ენის, სამშობლო სკოლის დამცველად გამოვიდეს. გარდა ეკონომიური მოტივებისა, მას აქეთკენ მიიწევს საკუთარი ღირსების შეგნება, თავის უფლების უკეთ დაცვის სურვილი, პოლიტიკური ბრძოლის პირობები. ქართველი დემოკრატი, რომელსაც საქმე აქვს რუსულ სახელმწიფო დაწესებულებებთან, რუსულ სასამართლოსთან, რუსულ ადმინისტრაციასთან—თითქმის ყველგან უმწეოა, თითქო ყოველ უფლებას მოკლებული არსებაა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ის უცხო ენა არ ესმის, რომელიც ამ დაწესებულებებშია გამეფებული, თავის მოქალაქეობრივ უფლებებს ვერ იცავს ისე, როგორც ეს მას შეუძლია სამშობლო ენაზე, სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახლო მონაწილეობას ვერ იღებს, ვინაიდან ეს ახლო მონაწილეობა მისგან უცხო ენის ცოდნას თხოულობს. აქედან იბადება ის მოთხოვნა დემოკრატიულ კლასებისა, რაც უმთავრეს კონკრეტულ შინაარს შეადგენს სალი ნაციონალიზმისას ე. ი. სახელმწიფოში ყოველი ნაციის ენა, სკოლა, საზოგადოდ კულტურა იმ უფლებებით და იმ სახით უნდა სარგებლობდეს, რომელთაც და როგორათაც ამას ეროვნული ინტერესები მოითხოვენ. როგორც ხედავთ, აქაც დემოკრატიზმის და ნაციონალიზმის ინტერესთა სოლიდარობაა.

ყოველი ეს ძალიან კარგად იციან იმათაც კი, ვინც ყოველივე იმას, რასაც ერის სახელი აკერია, ალმაცერად უყურებენ, აბუჩად იგდებენ. მათ კარგად იციან, რომ ერის გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა, რომ ერთის ბედნიერება მეორეს ბედნიერებას შეადგენს, რომ მუშა ხალხის იდეალები მთელი ერის იდეალებს ეთანხმება, რომ დემოკრატიზმის ინტერესების დაპირდაპირება განურჩევლად ყოველი ნაციონალიზმის ინტერესებთან, — ეს ყოვლად შეუწყნარებელი ყალბი აზრია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუხედავად ცხოვრების თვალსაჩინო მაგალითებისა, ნაციონალიზმის ხელაღებით უარისმყოფელნი, ერთხელ აკვიატებული მშრალი აზრით გაჟღენთილნი, თავისას არ იშლიან და ერთსა და იმავე სხვადა სხვა კილოზე დამღერიან: „ნაციონალიზმი ერთია—ყველა ერთი ფერისაა და ერთი მოდგმისა და ეს ნაციონალიზმი დემოკრატიის მტერია“. „ყოველი ნაციონალიზმი მუდამ სხვა ერთა დამონებას ეყრდნობა“, „ნაციონალიზმი ერთა შორის შუღლისა და მტრობის მთესველია“; ყოველი ნაციონალიზმი მუდამ იმპერიალისტურ ნიადაგზე სდგას“ და სხვადასხვა ამის მზგავსს.

კვლავ ვიტყვით, შაბლონი დიდი სენია. ამ შაბლონის წყალობით, ხშირად ადამიანის გონება ჯანყსა და ბურუსში იმ ზომამდე ეხვევა, რომ იგი მალე და ადვილად ვეღარ ერკვევა. დრო და მოთმინებაა არის საჭირო, ვიდრე ჭეშმარიტება თავის გზას გაიკვლევს. სულისა და გონების შემბორკველი შაბლონით შეხვდა ქართული სოციალ-დემოკრატიული მწერლობა ჩვენს სალს, დემოკრატიულს პრინციპებზე აგებულს ნაციონალიზმსაც. რა ზნე და საქციელი გვმართებს დავიჭიროთ ამ შემთხვევაში? უნდა მტკიცედ გვწამდეს ყოვლად ძლიერობა დროისა. გვწამდეს, რომ სწორედ ეს დრო გაარჩევს ცხოვრების ავ-კარგს. ვინ იცის, მომავალი არც ისე შორს არის, როდესაც ჩვენ სიტყვები, ვითარცა ერთი ელემენტ რული უცილობელი ჭეშმარიტება, ღებული იქნება ყველას მიერ გან ჩევლად...

გრ. გველესიანი

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 770.

*) იხ. მისი „Націон. вопросъ и соціалдем.“, გვ. 337.

*) იხ. „Рус. зап.“ ოქტომ., წერილი დიონეოსი.

წმ. ნინოს

(ჩემს დისწულს ნინო არჩვაძეს)

მოციქულთა თანასწორო, ჩვენი ერის მხსნელო, ნინო,
მეტი ღონე აღარ არი, უნდა ისევ მოგვევლინო.
ახლა სულ სხვა მუდარა აქვს ჩვენს ოხოვნასა და ჩვენს ხვეწნას:
ვაზის ჯვარზე შენი თმები ახლად უნდა გადაეწნას.

მაშინ თუ კერპს მოევლინე ელვის მსგავსად, ქარიშხალად,
დალეწე და დაამსხვრიე და აქციე ნატამალად;
დღეს ვინც ნინოს გვიორგულებს უნებურად, ძალის-ძალად
მასაც უნდა მოევლინო ცის მეხად და ცეცხლის რკალად.

და შენს სახელს რომ ატარებს დღეს ჩვენს ერში ზოგი ნინო,
უნდა ახლად მოგვიქციო, უნდა ახლად აღგვიდგინო,
რომ შენს სახელს ატარებდნენ კვლავ უხალოდ, უმწიკვლელად
და შენსავით ლოცულობდნენ შენის ერის დასახსნელად.

შიო მღვიმელი.

ვებულ მდგომარეობაზე. ეს კაცი ასირიელია. 18 წელიწადია უკურნებელის სენით არის შეპყრობილი, ფამბლა აქვს დაცემული, შრომის უნარი დაუკარგავს და დიდი ოჯახი ჰყავს სარჩენი. შეწირულება მიიღება ჩვენის რედაქციის კანტორაში.

◆ **ნაძალადევის სამკითხველოს** წევრთა საერთო კრება გაიმართება კვირას, 15 იანვარს სამკითხველოს ბინაზე.

◆ **მდაბიო მოქალაქეთა** რწმუნებულების კრება გაიმართება 15 იანვარს, დილის 11 საათზე.

◆ **ი. გრიშაშვილი აცხადებს:** „ლილაზე" ხელის მოწერა არ მიიღება. შესაფერ მასალის შეკრებისთანავე მეორე რვეული „ლილასი" გამოვა საალდგომოდ.

◆ **საჩივარი რედაქტორის წინააღმდეგ.** პ. ტერენციომ საჩივარი აღძრა ჩვენი გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ იმ წერილების გამო, რომლებიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა.

◆ **სასურსათო კრიზისი.** როგორც ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებას ატყობინებენ, თელავის მაზრის სოფლები დიდს სასურსათო კრიზისს განიცდიან.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ** შარშან მრავალს სტუდენტს აღმოუჩინა ნივთიერი დახმარება. ზოგს სტიპენდიასაც აძლევდა. საზოგადოება ახლა ამ პირთ სთხოვს, გამოუგზავნონ საზოგადოებას გა[illegible]მართლებელი საბუთები იმისა, რომ მათ საზოგადოებისაგან მართლაც მიიღეს ფული, ეს საბუთები საზოგადოებისათვის ფრიად საჭიროა.

◆ **სიმშილობა შორაპნის მაზრაში.** როგორც შრომიდან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ატყობინებენ, ხალხი დიდს სიმშილობას განიცდის, რის მიზეზითაც ჩნდება ავადმყოფობა, რომელიც მუსრს ავლებს ხალხს. საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობა ქუთაისისა და ზესტაფონის განყოფილებას და გუბერნატორს.

ჩვენი მეზობლები

სომხები.

— ტფილისის ქალაქის მოურავმა ა. ხატისოვმა ლონდონიდან სომხ-ინგლისის კომიტეტისაგან მიღებული 16 ყუთი თბილი ტანისამოსი გამოქცეულებისთვის გაუგზავნა მუშისა და ხნუსის რაიონებში გამოქცეულებისთვის დასარიგებლად.

— პეტროგრადის სომხის ეკლესიის საბჭომ ამ წლისათვის გადასწყვიტა გაუგზავნოს ტფილისის სამეურნეო საზოგადოებას, 10,000 მანეთი.

— „ჰორიზონს" ატყობინებენ ეჩმიაძინიდან, რომ იქ სასულიერო აკადემიაში გაიმართა „სომხურ კილოკავთა საღამო" ამ საღამოზე მოწაფეები ლაპარაკობდნენ და კითხულობდნენ ათნაირ სომხურ კილოკავზე. საღამოს დაესწრო ეჩმიაძინის მაზრის უფროსი.

ქალი და პოლიტიკა

14 იანვარს ქალის სახელს ვდღესასწაულობთ. ნინო სიმბოლოა დღესასწაულის.

იგი რომანტიულ გრძნობას კი არ გვღვიძებს მხოლოდ, არამედ მოქალაქობრივსაც. ნინომ სარწმუნოებრივი სიფაქიზე და რეფორმა შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ვისაც მოეხსენება ქრისტიანულ მორალის ძალა სოციალურ ცხოვრებაში, მისთვის ცხადია, რომ ნინო იყო მესვეური საზოგადოდ ქალთა თავისუფალი ცხოვრებისა. ერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ქრისტიანობამ, რომის სამართალმა და გერმანულმა კულტურამ თან და თან გააფართოვეს ქალის უფლებანიო. ქალთა ცხოვრების საშინელი წყობილება — პოლიგამიის პრინციპზე აგებული — უმთავრესად ქრისტიანობამ დასცა. სამოქალაქო—ქონების უფლება რამდენადმე დაიცვა რომის იურისდიქციამ, ხოლო გერმანულმა კულტურამ გაამეფა ქალთადმი რაინდული გრძნობა პატივისცემისა.

ქალი დღესაც არ არის თავისუფალი. რესპუბლიკები არსებობენ და ქალებს ელემენტარული უფლება არ აქვთ საზოგადოებრივ ცხოვრების გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღონ.

სოციალური ცვლილება ოცნებაა თუ ქალთა სოციალური და ეკონომიური უფლება სრულად არ იქმნა აღდგენილი. ქალი საზოგადოებრივი ცხოვრების გამძღოლთაგანია და სოციალური თავისუფლება ლოღიკურად შეუძლებელია შეეგუოს სოციალურ უთანასწორობას.

საზოგადოებრივი ცხოვრება დიდი პრაქტიკული სკოლაა სადაც, ადამიანის ენერგია თან და თან იწვრთვნება და ვითარდება. სქესმა არ იცის ენერგიის სხვაობა. ეს სოციალური ჰაპან-წყვეტის საკითხია და რამდენადაც ამ სფეროდან ქალი იქმნა გამოდევნილი, იმდენადვე ის მართლა დაეცა ფიზიკურად. ქალთა უფლების მოსარჩლე ქ-ნი შრეიდერი უპირველესად შრომის უფლებას მოითხოვს. ქალები შრომაში ჰპოებენ თავისუფლებასო. ჰეტერა ათინაში არა თუ ჩამოუვარდებოდა მამაკაცს გონების სიმახვილეში, ხშირად სჯობნიდა კიდეც და ერში პატივი ჰქონდა დამსახურებული. ამ ორ ძალთა ამბავი ეხლა ბევრს ზღაპრად ეჩვენა, მაგრამ უკულტურო ქვეყნების მარტივი დღევანდელი ცხოვრება, სადაც სოციალურ დანაწილებას სავსებით არ გაუთახსირებია ადამიანის გონება, გვიმტკიცებს, რომ დედაკაცი არაფერში ჩამოუვარდება მამაკაცს. ტანგოსა და მარიანის კუნძულებზე შთამომავლობის გვარი დედის სახელთან არის დაკავშირებული. დასავლეთ ინდოეთის ზოგიერთ თემში ქალი უმთავრესი მესვეურია ცხოვრების, ყოველგვარ სამამაკაცო საქმეს განაგებს, ბჭობს კრებასა და ყრილობაში, ხოლო აქა-იქ ქალებს უპირატესობაც ხელში ჩაუგდიათ და რამდენადმე მამაკაცები ჩაუყენებიათ უუფლებო მდგომარეობაში. დროთა განმავლობაში ქალთა უფლება დასცა მამაკაცის უფლებამ, მაგრამ ამ გარემოებაში სრულიად არა სჩანს ქალის—როგორც სოციალურ არსების—სოციალური სილატაკე. უფლებრივის თვალსაზრისით ქალთა საკითხის გამომკვლევი პოლჟიდი ამტკიცებს რომ მრავალი კანონი, რომელიც ეხება ქალთა უფლებას, არაფერს ამბობს ქალის **ბუნებრივ** სისუსტეზე. დღევანდლამდე უმთავრესად დაჩაგრულია არა ქალი—როგორც აბსტრაქცია, განყენებული სახე მდედრობითი სქესისა, არამედ დედაკაცი, მშობელი, დაი, ცოლი—ესე იგი თვით სოციალური პირობანი ქალთა ცხოვრებისა.

ქალთა უფლების მოძულეთ ძველად რამდენიმე მოტივი ასულდგმულებდათ ქალთა ცხოვრების შესავიწროებლად. არა მარტო სქესი, თვით სულიც. უუსპეტაკეს და ყველაზე თავდადებულ მოძღვარს ინდოეთისას ბუდდას ქალის სული მიაჩნდა მამაკაცის სულის უმდაბლესად... თანამედროვე მოღვაწეთ ეხლა სქესის პოლიტიკა შერჩათ ხელში და სქესობრივის მოსაზრებით ებრძვიან ქალთა თავისუფლებას. ის კი ყველას გვავიწყდება, რომ ქალის სქესი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ არსებობს მამაკაცის სქესიც და ორთავე სქესს ერთნაირი ალღო და აღტყინება ჰფარავს. თუ ქალის სქესს შევეხებით, არ უნდა დავივიწყოთ მამაკაცის სქესიც და თუ სქესი მართლა ნიშნავს უძლურებას, უძლურება უნდა მოვახვიოთ არა ერთ სქესს, არამედ საერთოდ ორთავე სქესს.

ქალთა საქმის ერთი მოამაგე ამბობს, ქალი იქ არის თავისუფალი, სადაც **ადამიანია** თავისუფალიო. ძალიან საღი აზრია. ყველანი მონები ვართ და ამიტომაც ვიცავთ ქალთა მონობას. ვერ წარმოგვიდგენია თუ როგორ შეიძლება ქალი იყოს სრული ამხანაგი და თანასწორი მამაკაცისა, გვწამდეს მისი ადამიანობა. გვავიწყდება, რომ სწორედ ასევე საბერძნეთის უდიდეს ფილოსოფოსს არისტოტელს თავის დროზე ვერ წარმოედგინა თუ როგორ შეიძლებოდა მონა—მამაკაცის ადამიანობა. ჩვენი აღზრდა-განვითარება, ესე იგი გაადამიანება იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ქალს ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს შემოქმედებისა და ერის კეთილდღეობისათვის აუცილებლად საჭირო და სასარგებლოა მისი თავისუფალი შემოქმედება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კერძო აზრს, თითოეულ შეხედულებას, მაგრამ უმჯობესია კოლექტიური აზრი, როცა კოლექტიურ აზრს სისტემის სახე ეძლევა და საზოგადოების მეტი ნაწილი იზიარებს, მას **პოლიტიკა** ეწოდება და საფუძვლად ედება მთელ კანონდებლობას. ქალი ეხლა ყველაზე უფრო შევიწროებულია პოლიტიკურად და როგორც კი პოლიტიკური მონობა მოისპობა მოისპობა სქესობრივი მონობაც.

საყურადღებო ის არის, რომ ჩვენი ქალებისათვის ეს მარტივი ჭეშმარიტება ჯერ კიდევ პრობლემად ითვლება, ნამდვილად კი უნდა გვახსოვდეს შემდეგი: ქალის პოლიტიკურად განთავისუფლებისათვის საჭიროა არა მარტო მამაკაცთა პოლიტიკური ცნობიერება, უმთავრესი მნიშვნელობა თვით ქალთა ცნობიერობას აქვს.

ქართველი ქალები გრძნობენ ქალთა საზოგადო მონობას. მაგრამ მათი პოლიტიკურად გამოფხიზლება შეუძლებელი გამხდარა. ნინოს დღესასწაული მათ ხელში პოლიტიკურ ბრძოლის და მოქალაქობრივ ძლიერების სარბიელი არ არის.

ჩვენმა ქალებმა პოლიტიკურ-ეროვნული მოღვაწეობა უნდა გაჩარხონ იმ რწმენით, რომ ქართველ ქალთა უფლების აღდგენა საერთო საქალებო საქმის სამსახურიც იქნება. ეროვნული მიზნის განხორციელება საკაცობრიო მიზანს ანხორციელებს. მაგრამ ქართველ ქალის პოლიტიკური თავისუფლება შეუძლებელია გარეშე ქართველობის პოლიტიკური განთავისუფლებისა. აქედან ცხადია, რომ ქართველ ქალთა მოვალეობაა ბრძოლა საზოგადოდ ეროვნულ თავისუფლებისათვის. რამდენადაც ქართველობა მიაღწევს სახელმწიფოებრივ უფლებებს იმდენადვე ჩვენს საზოგადოებას ადვილად შეეძლება იმ ჰუმანიურ და რაინდულ მოტივების განხორციელება ქალთა საქმეში, რომლითაც ხასიათდება არა მარტო გერმანული კულტურა, არამედ ქართული კულტურაც.

ჩვენი ქალების ბრალია, რომ ამ მხრივ ჯერ არაფერი გაკეთებულა. ქალების პოლიტიკური მცონარეობა ნიშანია ქალის პოლიტიკური უსუსურობისა. დღეს ჩვენი ქალი იჩაგრება სამნაირად: 1) როგორც ქალი—სქესის მხრივ, 2) ეკონომიურად—შრომის მხრივ და 3) ეროვნულად—როგორც ქართველი. მამაკაცი მხოლოდ ორ უკანასკნელ შევიწროებას განიცდის და მის წინააღმდეგ მხურვალე ბრძოლას ეწევა. ნუ თუ ქალთა კიდევ უარესი მდგომარეობა არ უნდა იწვევდეს მათის მხრივ მამაკაცებზე მეტ სიყოჩაღეს და პოლიტიკურ ბრძოლის ენერგიას, სურვილს?

ეხლანდელი ომით ქართველობის პოლიტიკური ასპარეზი ქართველ მოქალაქეთა მიერ თითქმის დაცლილია. მსხვერპლი არ თავდება, კიდევ უარესი პირობები დგება, თუმცა ომის წინ კვლავ სდგანან გადასაწყვეტად ეროვნული და საერთაშორისო საკითხები. ამ დროს ჩვენი ქალები სრულ სიჩუმეს იჩენენ. ქალთა ზნეობრივი მოვალეობაა ასეთი მდგომარეობა მოისპოს, რომ ქალები გამოვიდნენ ცხოვრების სარბიელზე არა როგორც დედები, დები და ქველმოქმედნი, არამედ როგორც ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწენიც.

თედო ღლონტი.

სადღეისო წერილები

6.

ქალთა დღე.

ფილოსოფოსს არისტოტელს ქალი ბუნების შეცდომად მიაჩნდა. სათნოება-ზნეობა ქალისა, ამბობდა ბრძენი,—სრულიად არა ჰგავს ჩვენსას, მოქალაქეებისას და ძალიან ცოტათი განსხვავდება მონის თვისება-ზნეობაშიო. კაცობრიობის ცხოვრების უფრო ბოლონდელ ხანს, შუა საუკუნეებში ევროპის ქრისტიანთა ერთ-ერთ საეკლესიო კრებაზე სერიოზულად წამოაყენეს საკითხი—ადამიანია თუ არა ქალიო. განსაჯეს და დიდი ზარ-ზეიმით აღიარეს—ადამიანიაო.

ათასმა წლებმა, საუკუნეებმა განვლო ზემოხსენებულთა შემდეგ. დღეს, რასაკვირველია ამნაირი მსჯელობა შეუძლებელია და შეგნებულ ადამიანს არც ეპატიება. ხოლო უნდა ითქვას: ქალის მდგომარეობა შედარებით თითქმის ისეთივეა, რანაირიც წინად ყოფილა: იგი ისევ ძველებურად დაჩაგრულია და უფლებამოკლებული. ახლანდელმა ქალმა გამოიღვიძა, იბრძვის კიდევაც საკუთარი პიროვნების განთავისუფლებისათვის. მაგრამ დღესდღეობით ქალი მაინც კაცის მაჩანჩალაა და საუკუნეთა მიერ შექმნილ ტრადიცია-ართახებისაგან ვერ განთავისუფლებულა.

არის რაიმე იმედი ამ ახლო ხანში განთავისუფლდეს ქალი ზემოხსენებულ ნაკლისაგან? შეიძლება ცალკე გადასწყდეს, დამოუკიდებლად აღიძრას ქალთა საკითხი? ან აქვს საბაბი ქალს საერთო საკაცობრიო ბრძოლაში ცალკე დროშით გამოვიდეს? აი, აქ ერთი შენიშვნაა საჭირო.

ქალს ისტორიაში ბევრჯერ დიდი როლი უთამაშნია. საფრანგეთის რევოლუციის იდეურად მომზადებასა და მე-XVIII საუკუნის „ფილოსოფიის" გავრცელებას დიდად შეუწყვეს ხელი ქალების გარშემო შემოკრებილმა სალონებმა. ამავე სალონებში გამოიჭედა, გამშვენიერდა, გაფაქიზდა ფრანგული ენა. როდესაც რევოლუციონური იდეები სალონებიდან ქუჩაში გადვიდა, ხალხს მოედო—შეიქმნა ახალი ისტორიის შესანიშნავი დოკუმენტი; „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია". რევოლუციის ხანს ქალებმა საკუთარი კლუბები დაიარსეს და უფლებებს მოითხოვდნენ. სხვათა შორის დაადგინეს: ვაჟური ტანისამოსი ვატაროთ, ყოველიფრით კაცებს დავემსგავსოთ, რათა ჩვენსა და მათ შორის არაფერი განსხვავება იყოსო. კონვენტმა იწყინა: კლუბები დახურა, ხოლო ქალთა კრებები აკრძალა. იმ ხანებში ქალთა წარმომადგენელმა ოლიმპიადა დე-გუჟმა შეადგინა „ქალის უფლებათა დეკლარაცია". იგი მოითხოვდა ქალებისათვის მიენიჭებინათ საპოლიტიკო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება და საზოგადოდ აღეარებინათ მათი თანასწორობა. შეიძლება ეს მაშინ საჭირო იყო და აუცილებელიც.

მაგრამ დღესაც არიან ისეთი ქალები, რომელნიც აღიარებენ „ადამიანის უფლებათა დეკლარაციის" გვერდით ქალთა უფლების დეკლარაციის არსებობის საჭიროებას. ჩვენის აზრით ეს შეცდომაა.

არ არსებობს ცალკე ქალთა საკითხი, არსებობს მხოლოდ საკითხი ადამიანის წინსვლის, პროგრესისა. აბა, დამისახელეთ ისეთი რამ, რაც ქალისათვის საჭირო იყოს და თან მამაკაცსაც არ უხდებოდეს მისთვის ბრძოლა, მისი მოპოება. ჩვენ საპოლიტიკო უფლებას არ მოგახსენებთ, თუმცა ჩვენთვის, დაჩაგრულ ერების ქალ-ვაჟთათვის ეს საკითხიც ერთნაირია. პიროვნების თავისუფლება, ფართოდ გაშლა, დამოუკიდებლობა? განა მთელი კაცობრიობა ამისთვის არ იბრძვის!. მართლაც—ქალთა საკითხი კაცობრიობის საკითხია და არა ცალკე მისი ნახევრისა. მართალია, ქალებს აქვთ ზოგიერთი წვრილმანი, სპეციალურად მათ რომ შეეხება. მაგრამ ეს წვრილმანია და მთლად შედის იმ მოთხოვნილებებში—რისთვისაც კაცობრიობის მოწინავე და საუკეთესო ნაწილი იბრძვის თავგამოდებით. ქალის მდგომარეობა გაუმჯობესდება ყოველ მხრით იმდენად, რამდენადაც ქვეყნიერება კულტუროსნდება, რამდენადაც მეტს პოზიციებს დავიჭერთ სოციალურ და საპოლიტიკო სამართლიანობის დამყარებისათვის ბრძოლაში. აქ ქალი მხარში უნდა ამოუდგეს კაცს, როგორც ტოლი, ამხანაგი, რადგან ქალთა უფლება, უეჭველია, ადამიანთა უფლების დეკლარაციაში უკლებლივ შედის. ხოლო მიმართულება, რომელიც თითქოს სცდილობს ქალი გაანთავისუფლოს ქალობისაგან—არც სასურველია, უტოპიურიცაა, ვერც თანაგრძნობას მოიპოებს. მაშასადამე, არც გათიშვა, არც გათქვეფა—არამედ ერთად სიარული, ერთად ბრძოლა საერთო ბედნიერებისათვის...

ქართველ ქალსაც ჰმართებს გამოღვიძება და საერთო ეროვნულ შემოქმედებაში თავის წვლილის შეტანა. ჩვენს წარსულში ქართველ ქალს დიადი როლი უთამაშნია, ნინოობა ქართველობისათვის საერთოდ და კერძოდ ქალებისათვის დიადი დღეა. ტყუილად კი არაა მეორე ჩვენი ეროვნული დღესასწაული—პირველი მისი (თამაროობა) სიმბოლო გაერთიანებულ საქართველოსი. მაგრამ დღევანდელი ჩვენი ქალი ჩამორჩენილია და დაჩაგრული. ქალური ელასტიობის გამო იგი უფრო მეტად დამორჩილებია გარეშე ძალის გავლენას. ქართველი განათლებული ქალი დღეს უფრო მეტადაა გადაგვარებული, ვიდრე ვაჟი. მიზეზი ისიცაა, რომ ჩვენს ქალებს არ მოეპოებათ ქართულ საქმეებში ის მცირედი ამპლიტუდაც, რაიც კაცებს აქვთ. იგი მოკლებულია ეროვნულ გრძნობას, შეგნების სავარჯიშო მოედანს უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ. ხოლო ჩვენი გაუნათლებელი ქალის მდგომარეობა ხომ აუტანელია. მაგრამ ეს საერთოდ საკითხია ჩვენი წინსვლის, გაევროპიელების, პროგრესისა, რისთვისაც უნდა ვიღვწოდეთ ყველანი ერთად და ცალცალკე. ხოლო ვიდრე ქალები სუსტნი არიან, კაცებს ვერ დაეწევიან, მათთვის საჭიროა შეკავშირება, ერთად მუშაობის შეჩვევა და აი, მართლაც ქართველი ქალი ამ ბოლო ხანს უკვე გამოვიდა ასპარეზზე და ბევრგან კვალიც დააჩნია...

ქალის უდიდესი მოვალეობა, უეჭველია, დედობაა. ეს მისი სტიქიონია, ბუნება და შემოქმედება. ყველგან, სადაც კი ქალმა ცოტაოდენი უფლება მოიპოვა, ისეთს დარგსა და სფეროში გამოიჩინა მეტი უნარი, ბავშვების აღზრდას და მოვლას რომ შეეხება. ასეთია, მაგალითად მასწავლებლობა. მართლაც აქ ერთნაირი შემოქმედება, ნაზი ბუნებაა საჭირო. მომზადება, ჩამოყალიბება, ჩამოქნა ბავშვის ხასიათისა—ეს ხომ კაცობრიობის მომავლის შექმნა და ჩამოყალიბებაა. ამ მხრით ქალებს დიდი საქმე აწევთ კისრად, მათ მიერ ამ მოვალეობის პირნათლად ასრულებაზეა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი. ქართველი ქალებიც აქ დიდ უნარს იჩენენ და რამდენიმე სკოლა ინახება მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ქალის მეოხებით. აღსანიშნავია აგრეთვე ქართველ მასწავლებელ-ქალთა მოღვაწეობა სამაჰმადიანო საქართველოში...

და აი, ნინოობა ქართველ ქალთა დღედ გადაქცეულა. დაე მართლაც იგი იყოს ქართველი ქალის საბოლოოდ გამოღვიძების, ამოძრავების სიმბოლოდ. ამ ჟამად, როგორც მამაკაცები, ისინიც ვერ იცნობენ თავის ერის აწმყოს, წარსულს და ვერც მომავალი გაუთვალისწინებიათ. ზემოდ ჩვენ მოვიხსენიეთ ქალის ბუნების ელასტიობა. იგივე ელასტიობა ხელს შეუწყობს ქართველ ქალს გარდაიქმნას, ჩვენი ცხოვრების მომქმედ, ცხოველ ელემენტად გარდაიქცეს. იგი ადვილად აუღებს ალღოს ცხოვრებას, ადვილად შეეგუება მის მოთხოვნილებებს და საჭირო მესვეურობასაც გაუწევს ერს. დაე, ეს დღე, ნინოობა, გარდაიქცეს ქართველ ქალის შეგნების, მომწიფების ნიშნად. დაე ყოველწლივ ქართველმა ქალებმა ანგარიში მოსთხოვონ ამ დღეს თავიანთ თავს: რა აკეთეს, რას შვრებოდნენ გასული წლის განმავლობაში და გაადიდონ ის წვლილი, ყველა შეგნებულ ქართველს რომ შეაქვს ერის სალაროში. დაე ჩვენის საერთო მეცადინეობით საქართველოს კვლავ დაუბრუნდეს ლომის იერი, რათა გულწრფელად, დაუბრკოლებლივ და გაუზვიადებლად გავიმეოროთ საქართველოს ყველა შვილთა შესახებ: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია".

ქ. რაჭველი.

პატარა ფელეტონი

კონსილიუმი

მძიმე ავადმყოფს, რომელიც ტახტზე წევს, შემოჰხვევიან: მისი აპეკუნი და ორი ექიმი: ერთი—შინაური მოხუცებული, მეორე—ახალგაზრდა. ავადმყოფი გულსაკლავად გაჰკივის: „ვაიმე, მიშველეთ, ვკვდები! გულ-მუცელი მეწვის, შიგნით და გარედ ცეცხლი მიკიდია!"

ახალგაზრდა ექიმი. უჰ, რა დახშული ჰაერია! დაალეთ ე ფანჯრები, პატარა სუფთა სიომ დაჰბეროს, რომ ცოტა სული მოიბრუნოს ამ საცოდავმა!

აპეკუნი. **მოხუცი ექიმი.** როგორ შეიძლება, ხომ გაცივდა! გინდა, რომ ანთებად გადაექცეს, როგორც ამ ათი-თორმეტი წლის წინად მოუვიდა?!

ახალ. ექიმი. გაიგეთ, კვდება მეთქი, კვდება! რასაც გეუბნებით, დამიჯერეთ, თორე ხელს დავიბან და მერე თქვენ კისერზე იყვეს ამის ცოდო (აპეკუნი და მოხუცებული ექიმი ოდნავ სარკმელს აღებენ).

აპეკუნი. შენ აქ ნუ ღრიალებ, თორე ერთხელ ხომ გიკარ აბრაგანი!

ახალგ. ექიმი. „მიკარ" და ისევ მე არ მომმართე?!

აპეკუნი. ქვეყანას რა ვუთხრა, თორემ შენ აქ ფეხს შემოგაკარებინებ?!

ახალგ. ექიმი. მეც ვიცი, რომ სვინდისის მოსაწმენდად მეძახი! მკითხავ, „მოხუცის" საქმეს მე მასწორებინებ! (ჰხსნის ავადმყოფს დამპალ ჩვარ-ჩვარს და ლამის გული წაუვიდეს საზარელ სუნისგან) თქვენზე რომ არ მოქმედობს, ალბად ცხვირი გაქვთ შეჩვეული! რა მალამოები დაუდვია ი დალოცვილს! ვენაცვა, შენ ექიმობას! „ნატრ-შტიურზატი", „სალიცილ-მანუილატი"... მთლად დაულპია ეს საცოდავი!

აპეკუნი. ღმერთმა სულით გაანათლოს, ის შენი სახსენებელი არ არის! პირი გამოირეცხე და ისე ახსენე!

ახალგ. ექიმი (დაცინვით). რასაკვირველია, ია და ვარდს დავლეჯავ! (გულმოდგინეთ შინჯავს ავადმყოფს და მწარედ თავს აქნევს) რა პირი არ გინდა ამას აუკვიატებია: „ხორციმჭამელა", „ძვალიმჭამელა"... „Мясо ѣдъ", „Сухотка" и, чортъ знаетъ, еще что! Навѣрно, понахваталъ въ притонахъ этихъ распутницъ!

აპეკუნი (პირში სწვდება). სსუ!.. ახლა ქვეყანა შეჰყარე!

ახალგ. ექიმი (დაცუნცით) თორე ისე კი არავინ არა იცის-რა! თქვენიანებიც აღარა მალავენ და ვის გინდა პირში ბურთი ჩასჩრო?!... ყური დამიგდეთ. ამის გამობრუნება მხოლოდ ასე შეიძლება: სუფთა ჰაერი, კარგი ჭამა-სმა და ის პილულები, ამ ათითორმეტი წლის წინად რომ გამოვუწერე... მართალია, მწარეა, მაგრამ უებრია...

მოხუცი ექიმი. ძიელ მცხარე წამალია, კოლეგა, ავადმყოფი ვერ აიტანს...

აპეკუნი. შენ გინდა, რომ ისევ რუმბივით დასივდეს და საოპერაციო გახდეს?!

ახალგ. ექიმი. მერე თქვენ გგონიათ, რომ ოპერაცია ასცილდეს?! მეც რომ არ დავკრა „ლანცეტი", თავის თავად გამოხეთქავს ჩირქს და მაშინ უფრო ძნელი იქნება: მთელი **სხეული** მოეწამლება!

აპეკუნი. არა, ბატონო, თქვენი „სალანცეტო" ავადმყოფი არა გვყავს, მიბრძანდი! (კარებისკენ ხელს უთითებს)

ახალგ. ექიმი, მე კი წავალ, მაგრამ ბოლოს ინანებთ! (გადის).

მეზობლები. (მაცქერლები იცინიან) „კიდევ პანღური ჰკრეს! ამ საცოდავს თავმოყვარეობა არა აქვს: დაუძახებენ თუ არა, მაინც ფრთებ-შესხმული მირბის! მე რო ვიყვე, ქვას მივაგდებ და მივაფურთხებ!"—„ავადმყოფი ეცოდება თორე...ე!"

აპეკუნი. (მოხუც ექიმს) ისევ თქვენებური, გამოცდილი მალამო დაადეთ, ბ-ნო ესკულაპო...

მოხუცი ექიმი. (სწერს „რეცეპტს") „სალიცილ-გალიცინატი"... ე კი ვწერ, მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, მე თვითონაც აღარა მწამს ჩემი წამალი... ავადმყოფი როგორღაც ძალიან მოუშვა... მეშინიან, მართლაც სული არ დალიოს...

აპეკუნი. არა უშავს-რა, გაუძლებს... ამაზე უარეს დღეში იყო ამ ათი-თორმეტი წლის წინად, მაგრამ, აგერ, დღესაც ხოხიალობს... ამას სხვა აგებულობა აქვს!.. (ავადმყოფი ისევ გაჰკივის: „მიშველეთ, ქრისტიანები არა ხართ!" მიშველეთ, ვიწვი, ვკვდები!"

აპეკუნი. სსუ! რას ღრიალებ, გინდა, ქვეყანა შემოგვახვიო?! (ჰკეტავს ფანჯრებს, „სტავნებს", კარებს).

ნ. აზიანი.

კოოპერატიული მოძრაობა

სამაჰმადიანო საქართველოში

სოფ. ყოროლისთავის მომხმარ. საზოგადოება.

კოოპერაცია მთელი საქართველოსთვის ახალი ხილია, იგი უფრო უცხოა სამაჰმადიანო საქართველოსთვის. მისი იდეა ქართველმა მასწავლებლებმა მოიტანეს და გამოუცდელი ხელით, მაგრამ იმედიანად მათვე ჩაუყარეს საძირკველი. ქართველი მასწავლებლის მოღვაწეობის პირმშო შვილი ს. ყოროლისთავის მომხმარებელი საზოგადოებაა და აი ამ საზოგადოებაზე მსურს მკითხველს გამოველაპარაკო.

ყოროლისთავის კოოპერატივი ქართული სკოლის მასწავლებლების მეოხებით დაარსდა ამ 6—7 თვის წინად. პირველად სამოცამდე წევრი იყო და საწარმოვო თანხას მხოლოდ საპაიო ერთი თუმანი და საწევრო 2 მანეთი შეადგენდა, მაგრამ ცხოვრების სიდუხჭირემ გაჭირვებული ხალხი კოოპერატივის კარებთან მოჰრეკა, მოთავეთა ერთგულებამ და დაუღალავმა მუშაობამ ისინი შეაკავშირა, ფართოდ გაუღო საზოგადოების კარი, საქმემ ფრთა გაშალა და დღეს წევრთა რიცხვი 140-ს გადააჭარბა. სასიამოვნო და სხვებისთვის სამაგალითო უფრო ის არის, რომ მომხმარებელმა საზოგადოებამ თითქოს თავისთავად ჩაიდგა საძირკველი. კოოპერაციის იდეას აქ დაუდგომელი მოქადაგე არა ჰყავს. მასწავლებლებს არც იმდენი დრო აქვთ,

რომ მხოლოდ საკოოპერაციო მოძღვრების გავრცელებას მოანდომონ მთელი ძალი და ღონე, მათ უფრო საპატიო, საპასუხისმგებლო საქმე აქვთ დაკისრებული; ისე ინტელიგენტი არავინ არის, მაგრამ საკმარისი იყო საძირკველი ჩაედგათ, რომ კედლები თავისთავად ამოშენებულიყო. მოდის და მოდის საპაიო ფული, მოდის კაცი, მოდის თავის ნებით ქართველი მაჰმადიანი ქალიც კი, და საქმე თან და თან უფრო იზრდება, თანამშრომლობას და ამხანაგობას სარბიელი უფართოვდება... და ასე გაგრძელდება, უფრო მეტ სარფასა და იოლიანობას ჰნახავს ხალხი, თუ წევრნი მეტ ერთგულებას, მეტს ერთობას და თანხმობას გამოიჩენენ.

კოოპერატივის საჭიროება ცხოვრების სიდუხჭირემ წარმოშვა. ვერ ვიტყვით, რომ იგი მტკიცე შეგნებით იყოს გამოწვეული. ეს არის მიზეზი, რომ სალი შეხედულება კოოპერაციაზე არ არსებობს. კოოპერაციას არ უყურებენ, როგორც მუდმივ, სალ საშუალებას დუხჭირ ცხოვრების შესამსუბუქებლად, არამედ როგორც მომგებიან საქმეს, დროებით ზომას ცხოვრების მუხრუჭის ასაქარვებლად. მაგრამ ეს ქართველ მაჰმადიანთ არ დაეძრახვით. ამ სენით ხომ მთელი საქართველოა შეპყრობილი, სადაც კოოპერაციას რამდენიმე წლის ისტორია აქვს...

ზოგი მეთქი, მოგახსენეთ, ისე უყურებს კოოპერატივს, როგორც **ფულის მოსაგებ საქმეს,** ზოგი—როგორც პირად ინტერესების დასაკმაყოფილებელ საშუალებას, ზოგი როგორც ამხანაგობას, რომელიც დაუარსებიათ ამ ომიანობით გამოწვეულ სიძვირის გასანელებლად და ომის შემდეგ უნდა მიიხუროს და მოჰკვდეს. და ამის მიზეზი ის არის, რომ **ხალხს ნათელი წარმოდგენა არა აქვს კოოპერაციაზე.**

კოოპერაცია ჰნიშნავს ამხანაგობას, თანამშრომლობას და იმ საუკეთესო საშუალებად არის აღიარებული, რომელიც გართულებულ და წყლულიან ცხოვრებას მუდმივ მალამოდ უნდა დაედოს. კოოპერაცია ვისიმე გამოგონილი არ არის: იგი ცხოვრების საჭიროებამ წარმოშვა და ამ 150 წლის განმავლობაში, მეთვრამეტე საუკუნის ნახევრიდან, ინგლისიდან მოყოლებული გადმოლახა ევროპის ჩვენზე უფრო განათლებული და შეძლებული სახელმწიფოები და ჩვენამდე მოაღწია. კოოპერატიულმა დაწესებულებებმა: მომხმარებელმა საზოგადოებამ, მცირე ნდობის ამხანაგობამ, სასოფლო ბანკმა, სამეურნეო, საგლეხო კავშირებმა და სხვ. დაჰფარა მთელი ინგლისი, იტალია, ბელგია, დანია და სხვ. და ერთ დიდ კოოპერატიულ სამეფოდ გადააქცია გერმანია, რომლის დღევანდელ გამარჯვებაში კოოპერატივებსაც უდევთ წილი. კოოპერატიული დაწესებულება საჩარჩო საქმე არ არის, რომ მცირე თანხა შეიტანო და ბევრი ფული გამოიტანო. არც ისეთი საქმეა, რომელსაც მხოლოდ ვაჭრობა აქვს მიზნად დასახული და მის გარშემო ტრიალებს. არც შეძლებულთათვის არის კოოპერატივი საჭირო. იგი შეუძლო ხალხს ემსახურება, შედარებით იაფი და სალი საქონლის, იარაღის, სესხის მოწოდებით გართულებულ ცხოვრებას უმსუბუქებს და მის ზნეობრივ აღზრდას, და გონებრივ განვითარებას და კულტურულ წინსვლას უწყობს ხელსა. ევროპაში კოოპერატივებს, სასოფლო ბანკებს, გლეხთა კავშირებს და სხვ. სკოლებიც აქვთ გახსნილი, წიგნთსაცავ-სამკითხველოები, საავადმყოფოები, თავ-შესაფარები, გაჰყავთ სასოფლო გზები, აშენებენ ხიდებს, თეატრებს, ჰმართავენ ლექციებს, ექსკურსიებს და სხვ. და ყოველ საშუალებასა ჰხმარობენ, რომ ხალხის წინსვლას შეუწყონ ხელი, როგორც ზნეობრავად, ისე გონებრივად და ქონებრივად.

კოოპერაციას მიზნად ფულის მოგება არა აქვს დასახული, პირიქით, იმათ საწინააღმდეგოდ არის მოგონილი, ვისაც მიზნად მხოლოდ ხალხის ყვლეფა და ფულის მოგება ამოუჩნიშნავს. კოოპერაცია კერძო პირის, თუ ჯგუფის ინტერესს ვერ ემსახურება, იქმნება ის წევრი თუ გარეშე. კოოპერაციისთვის ძვირფასია მთელ წევრთა ინტერესი, სახალხო საქმე, რომელსაც ის ემსახურება, მუხტარი იქნება ის თუ ხოჯა, დურსუნი თუ ახმედი, წევრი თუ არა წევრი დიდი ეფენდი თუ უბრალო ჩობანი, კოოპერაცია თვის დანიშნულებას ვერ უღალატებს და მის ინტერესს ვერ ანაცვალებს საზოგადოს. კოოპერაცია ეხმარება ხალხს ჩარჩებთან, მევახშეებთან ბრძოლაში, კოოპერაცია ეხმარება ხალხს გართულებული ცხოვრება შეუმსუბუქოს და ნაკლებ ფასში მიაწოდოს ის, რაც ხალხს უპირველესად ესაჭიროება, კოოპერაცია აერთებს, აკავშირებს ხალხს და აჩვევს ერთად და თანხმობით მუშაობას ერთად ბრძოლას ყველაფერ მასთან, რაც მის ცხოვრებას მწვავე იარად მოევლინება. და ვინცა ჰფიქრობს კოოპერაცია თვის საპირადო ანგარიშისთვის გამოიყენოს, ის ნუ იზამს პირს კოოპერატივისკენ; ვინცა ჰფიქრობს ამხანაგობაში თუმანი ან თორმეტი მანეთი შეიტანოს და 3—4 თუმანი გამოიტანოს, ტყუილად მისკენ ნუ გაემართება; ვინცა ჰფიქრობს კოოპერატივის საჩარჩო დაწესებულებად გადაქცევას და მის საშუალებით ოქროს ზვინების დაგორავებას თავს ნუ შეიწუხებს და მის წევრად ნუ ჩაეწერება...

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოროლისთავის კოოპერატივის ზოგიერთ წევრთა შორის გამოსჩანს ზოგი რამ ასეთი მიდრეკილება. საქმის მესვეურთ ემდურიან—მეტის მოგება შეიძლებოდა, რომ ხანდახან ბითუმად მიგვეყიდათ შეძენილი საქონელი კერძო პირებისთვისო შეიძლებოდა მეტი მოგვეგო, რომ დუქანი ბათომში გადაგვეტანაო... დუქნის ბინის დაქირავების საკითხმა ხომ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ლამის არის მტრის გულისად გახდნენ და ასეთ კარგ და სარფიან საქმეს ბოლო მოეღოს. საქმე ის არის, დუქნის ოთახს ვადა გაუვიდა. გამგეობას აზრადა ჰქონდა დუქანი ისეთ ალაგას გადაეტანა, სადაც უფრო სარფა იქმნებოდა საზოგადოებისთვის და შენობაც რიგიანი იქმნებოდა. და აქ თავი წამოჰყო პირადმა ქინიანობამ და უთანხმოებამ. სადუქნე შენობა ორია და ორივეს პატრონსა ჰსურს მის შენობაში იყვეს დუქანი მოთავსებული. ხალხი ჯგუფებად დაიყო: ერთნი ამბობენ—თუ პირველ შენობაში არ იქნა დუქანი მოთავსებული, წევრობას ვანებებთ თავს და სხვებსაც გავიყვანთო, მეორენი იმუქრებიან—თუ მეორე შენობაში არ გადაიტანეთ დუქანი, ამხანაგობიდან გავალთო, ზოგი მოითხოვს ძველ შენობაშივე დარჩეს დუქანი, რათა უთანხმოება თავიდან ავიცილოთო, ზოგიც... **მივხუროთ კოოპერატივი და დავიშალნეთო...**

მოითხოვენ წევრთა საგანგებო კრების მოწვევას—დეე იმან გადასწყვიტოს დუქანი სად გადაიტანონო და კრების მოწვევასაც ეპირებიან ამ მოკლე ხანში.

ვწუხვართ, ძლიერა ვწუხვართ, რომ საერთო და სასარგებლო საქმის ნიადაგზე ასეთმა პირადმა ქიშპობამ და უთანხმოებამ იჩინა თავი, კოოპერაცია ისეთი საქმეა, რომელიც მხოლოდ თანხმობაზე, ერთობაზე, ერთად მუშაობაზე და ერთგულებაზე არის აშენებული, საზოგადო ინტერესი უდევს საძირკვლად და სადაც გაჩნდება პირადობა და ქინიანობა, იქ ეს კარგი საქმე ვერ იხეირებს და ჩაიშლება. ყოროლისთავის კოოპერატივმა ფეხი აიდგა, მოღონიერდა, დაწინაურების გზაზე მარჯვედ შესდგა ფეხი... ეს წევრებმა ჩინებულად იციან და ნუ თუ უბრალოდ უნდა გამოუთხარონ ძირი იმ საქმეს, რომლის დიდ სარგებლობაში თვითონაც ძალიან კარგად არიან დარწმუნებული? მერე? საზოგადო საქმე? სოფელი? ხალხი? რას იტყვიან, თანამოძმე ქართველო მაჰმადიანებო, ისინი, ვინც თქვენს ცხოვრებას სულგანაბული ადევნებენ თვალს და სულითა და გულით მოწადინებულნი არიან ერთობა და თანხმობა ჰხუფვდეს თქვენს შორის და ხელიხელ ჩაკიდებული მიდიოდეთ თამამად წინ უკეთესი მომავლისაკენ? რას იტყვის ჯანუმ, მტერი, რომელიც გაფაციცებით გადევნებთ თვალს და სცდილობს განათლებამ და შეგნებამ თქვენში არ შემოანათოს?.. რას იტყვიან მეზობლები? რას იტყვიან თანამოძმე ქრისტიანები?..

იმედი გვაქვს უბრალო რამეზე არ გააღვივებთ მეტ უთანხმოებას, იმედი გვაქვს უბრალო რამეზე არ დაჰლუპავთ იმ საქმეს, რომელმაც მომავალში მეტი სახელი უნდა მოგიხვეჭოთ და სარფაც მოგცეთ...

გადაიტანონ დუქანი იქ, სადაც უფრო მოსახერხებელია, აირჩიონ ის ადგილი, რომელიც უფრო სარფა იქნება კოოპერატივისათვის...

არჩიეთ პირველი მეორეს, საზოგადო საქმე—პირად უსიამოვნებას, მიეცით ხელი-ხელს და თანხმობით გასწით წინ... დეე მოყვარემ სიამით გაილიმოს და მტერმაცა სთქვას—ჰო, მართლაც კაცებიც ესენი ყოფილან და ქუდიც ამათა ჰხურებიათო...

სანგანიძე.

რუსეთის ამბები

— სამხედრო ახალ მინისტრს ბელიაევს „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტისათვის განუცხადებია: პოლივანოვის გზას გავყვები, საერობო და ქალაქთა კავშირის მუშაობას პატივისცემით მოვეპყრობიო. დარწმუნებული ვარ, საზოგადოებრივ დაწესებულებათა დაუხმარებლივ ვერაფერი გაკეთდება და უპირველესად ყოვლისა არმია დაზარალდებაო.

— ყველანი იმას ამბობენ, მეფის მიერ გოლიცინისადმი მიძღვნილ რესკრიპტში გამოთქმულ დებულების ამსრულებელი არავინ არის ახლანდელ მთავრობის წარმომადგენლებშიო.

— პეტროგრადში გაზეთები „დენი" და „რეჩი" არ გამოსულა 10 იანვარს. ალბად მუშებმა 9 იანვარი თუ იუქმეს.

— საზღვარ-გარეთის პრესა თავს ინუგეშებს, შტიურმერის თანამდებობა გარეშე საქმეთა სამინისტროს უწყებაში მხოლოდ საპატიო ადგილია, სხვა არაფერიო.

— „რუსკაია ვოლიას" სიტყვით, ფინანსთა მინისტრი ბარკი ფინლანდიიდან ჩქარა ჩამოვა, მაგრამ ძლიერ დაღლილია და ჯერ საქმეებს არ შეუდგებაო. იგი სამხრეთს წასვლას აღარ აპირებს, მაგრამ ვინიცის, როგორ დატრიალდება საქმეო.

— იუსტიციის ახალმა მინისტრმა დობროვოლსკიმ დაწვრილებით გაიცნო სუხომლინოვის საქმე და ხელახლა იწყებენ მის გარჩევას.

რუსეთის სომხების ლიტერატურა 1916 წელს

„ჰორიზონის" საახალწლო ნომერში დაბეჭდილია სომხურის ლიტერატურის მიმოხილვა.

სომხური ლიტერატურა 1916 წელს უეჭველია, ვერ იქნება მრავალ-ფეროვანი. მთელი ერის ყურადღება მიქცეული იყო საპოლიტიკო, ნაციონალ-ეკონომიურ საკითხებისაკენ და ამიტომ პოეზიისათვის ბევრს არ სცხელოდა, მაგრამ 1916 წელი არც თუ სულ უიმედო ყოფილა.

ლექსები: წარსულ წელს ცალკე წიგნებად და სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა: „მონოლოგი"—პოემა ბენდი მაგუსი. „დანტეს ანეგდოტი", პოემა ე. ზარენცისა, „ჩვენს სამშობლოსთან", ლექსები ოვ. თუმანიანისა. „ლექსები", ო. ქანლარიანისა, „ძიებანი და ეჭვნი", ო. კოსტანიანისა, „გაზაფხულის სიო", პოემა ჰაიკუნისა, „ლექსები", ქიალაშიანისა. სომხის ახალგაზდა ქალებმა გამოსცეს „შუა საუკუნეების სომხური პოეზიის ნაწყვეტები". ბევრი აქ დასახელებული ნაწარმოებ უკვე ცნობილ პოეტს ეკუთვნის, ზოგი კი ახალია, მაგრამ პოეტური ელფერი სდევს თან.

დრამატურგია.

ამათი რიცხვი, რასაკვირველია, უფრო ნაკლებია. აქ მოსახსენებელია უკვე ცნობილი პიესა ლ. შანთისა „კაისრი", რომლის შესახებაც უკვე იყო წერილები „ჰორიზონში". ა. ვართანიანმა გამოსცა პაროდია „მოჩვენებანი". მესამე არის შირვანზადეს ოთხ-მოქმედებიანი დრამა „არმენუი". ეს პიესა უკვე დაბეჭდილია ალმანახ „გაზაფხულში". საბელეტრისტო დარგში აღსანიშნავია „სამხედრო სურათები" ვ. ვალადიანისა. მღვდელმა მანდაკუნმა დაჰბეჭდა პატარა ფანტაზია: „საოცარი სიზმარი", რომლის გმირია ოსმალეთის ხონთქარი.

ისტორიული ნაწარმოებნი.

გ. ეჩმიანმა გამოსცა „იშხანის სამგლოვიარო გვირგვინი", რომელშიაც აწერილია ცხოვრება და სარევოლუციო მოღვაწეობა ნ. მიქაელიანისა. აღსანიშნავია აგრეთვე „უცნაური ამბავი შუშა-სასუნისა" არამანსის მოთხრობა. მღვდელმა ელიშე გეგამიანცმა დასწერა: „განმათავისუფლებელი მოძრაობა სომხებისა მე-20 საუკუნეში". ანანუნმა გამოსცა „საზოგადოებრივი განვითარება რუსეთის სომხებისა მე-19 საუკუნეში. მოსახსენებელი აგრეთვე წიგნი „პეტროზ დი სარგის გილანენცი", რომელშიაც აწერილია მე-18 საუკუნის სომხის საპოლიტიკო მოღვაწის ცხოვრება.

საპედაგოგიო ნაწარმოებნი.

გამოვიდა გრაბარის (ძველი სომხურის) სახელმძღვანელო", მ. აბელიანისა. „ორნამენტიკის სახელმძღვანელო II და III წელიწადი" გ. ყაზარიანისა. „სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელო (უძველესი დრო) ს. ტარასიანისა. გ. ედილიანმა დასწერა „სედრაკ მანდილიანის ბიოგრაფია და კრიტიკა".

აღსანიშნავია, აგრეთვე მშვენიერი საგეოგრაფიო მრავალი რუკა აბელიანის მიერ შედგენილი.

შეიძლება ბევრი წიგნი გამოგვრჩა, მაგრამ საუბედუროდ ეს ჩვენზე როდია დამოკიდებული. სომხებს არ მოგვეპოვება წიგნის მაღაზია, ბიბლიოთეკა, ან რაიმე დაწესებულება, სადაც შეიძლებოდეს ყველა სომხურ წიგნების ერთად ხილვა. არ მოგვიხსენებია აგრეთვე ზოგიერთი ყურადსაღები თარგმნილი წიგნები.

რუსულად გამოვიდა მშვენიერი გამოცემა პოეტ ვ. ბრიუსოვის რედაქტორობით „სომხეთის პოეზია". მ. გორკის ზედამხედველობით გამოვიდა „სომხურ ლიტერატურის კრებული". ყველამ იცის აგრეთვე „არმიანსკი ვესტნიკი" ილიუსტრაციებით და სხვა.

ცხოვრების სიძვირე

„დენში" დაბეჭდილია საინტერესო წერილი პროფესორ ვ. ტოტომიანცისა სიძვირის შესახებ.

ყველაზე დიდი სიძვირე, პროფესორის აზრით, ავსტრიაში ყოფილა. იქ ღორის ხორცი გირვანქა მანეთ-ნახევარი ღირს. საპონი გირვანქა მანეთი. ფეხსაცმელი ისე გაძვირებულა, რომ გამოიგონეს რაღაც ხის ფეხსაცმელები, რომლითაც კოჰწიაობენ კიდევაც ვენელები. მხოლოდ შაქარია ავსტრიაში იაფი, ვიდრე იტალიასა, ინგლისსა, გერმანიასა და რუსეთში.

ინგლისური საეკონომიო ჟურნალი აღნიშნავს, რომ პირველ ხანებში გერმანიაში ყველაფერი ძვირი ყოფილა, ვიდრე ინგლისში. ახლა კი ყველაფერი ძლიერ გაიაფებულა. გასული წლის სექტემბრიდან ყველანაირ სანოვაგის ფასს დაუკლია ოთხ-ნახევარი პროცენტითა.

თეთრი პური შედარებით იაფია საფრანგეთსა და იტალიაში, სადაც იგი ორ შაურს არ აღემატება (გირვანქა). მაგრამ ყველაზე დიდი სიიაფე ამ ჟამად ესპანიაშია. უნდა ითქვას, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოებში, გარდა შეერთებულ შტატებისა და შეიძლება ჰოლანდიაშიაც ცხოვრება იმდენად არ გაძვირებულა, როგორც მეომარ სახელმწიფოებში. მეომარ სახელმწიფოთა შორის უდიდესი სიძვირეა რუსეთსა და ავსტრია-ჰუნგრეთში. თუ ზოგიერთ სამეურნეო რაიონებში ცხოვრება რუსეთში გაიაფდა, დიდ ქალაქებში ყველაფრის ფასმა საშინლად აიწია და რუსეთში ბევრად დიდი სიძვირეა, ვიდრე მაგალითად, გერმანიაში. რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით რუსეთში „ორგანიზაციული შიმშილობა" არაა, მაგრამ სოფლის მეურნეობის ქვეყნისათვის კი სულელური და შეურაცხმყოფელი მდგომარეობაა.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

დ ღ ე ს:

ახალი კლუბი. ქართული საღამო.
ხარფუხის კლუბი. სიმ. ორკესტრი.
სახაზინო თეატ. ოპერა „ტაისი"
არტისტ. საზ. რუსული წარ.
ძმ. ეფიმოვების ცირკი. საცირკ. წარმოდგენა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული. (სიფილის ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთ. შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.
1057

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9,28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13 საღ.
თელავისაკენ		№ 4,	9 - დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 5,	9.10 დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	9.52 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48 საღ.
გორიდან	სამგზ.	. . .	6.34 საღ.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24 „

НОВАЯ КНИГА
Б. Ишханянъ
„НАРОДНОСТИ КАВКАЗА",
(Статистико-экономическое изслѣдованіе)
Съ предисловіемъ статистика С. Патканова.
цѣна 1 р. 50 коп.
Складъ изд. Петроградъ, книж. маг. М. В. Попова, Невск. пр., д. 66. въ Тифлисѣ книж. маг. „Новая Рѣчь", „Центральный", въ Баку, книж. маг. „Сеголь", „Посредникъ" и др. 19

აუქციონი
ტფილისის საქალაქო ლომბარდი
საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 15 იანვარს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში
საჯაროდ გაიყიდება
ვადა-გასულ დაგირავებული ნივთები ძვირფასი ლითონისა, (თითოეული დაგირავ. ნივთი ღირს 120 მან. 2500 მან.) ქვები, საკერავი მანქანები, ხალიჩები შიგრინის ტყავი და სხვა.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ქვირითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შემაიები. მუდმივ გვაქვს ცოცხალი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1035

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრამიანისა
საბუღალტერო კურსები
(არსებობს 1895 წლიდან).
ღებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია, ყოველ დღე მაცადინეობით.
15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1917 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი გაეგზავნებათ და მიეცემა ყველას უფასოდ კურსების კანცელარიიდან ნიკოლაევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44.
1447

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
წელიწადი მეცამეტე „ნაკადული" წელიწადი მეცამეტე.
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოვა თვეში ორჯელ.
24 წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის, 12 წიგნი „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით 6 მ., ნახევარ წლით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ., მოზრდილთათვის 12 წიგნი 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. მამადავითის ქ. № 2. დაწვრილებით აგენტებთან. 1436

კაცობრიობის მტერი
დამარცხებულია!!
სუსუნატი მორჩენილია. დადგა სანატრელი დრო,
ბოლო მოეღო ტანჯვას.
სუსუნატი
ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით" თავისი შესაშხაპუნებლით და დასალევით. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.
ჩვენი გარანტია
თუ თქვენთვის ეს საკმარისი არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. სუსუნატი გახლავთ ორნაირი ახალი და დაძველებული. ფასი ახალის სუსუნატის მოსარჩენი 22 მანეთი და დაძველებულის 35 მანეთი. ნახევარი კურსი გარე ქვეყნებში არ იგზავნება. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 5 მანეთის მიღების შემდგომ.
მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ ტფილისი, თხინვალის ქუჩა № 12. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავეის ქუჩის. 2 ნაწ.
Р. ШМИДТЪ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12. 2 уч. отд. 1—2.
პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. 1353

სტამბა „ქართლი" შ. ი. ციციშვილისა. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა